

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

**EMC**

Human Rights Education and Monitoring Center



**მწკანე**

აღწერნაწივა

**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**GEORGIA**

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების  
და მუშაუნაწივის ხართულური პროექტი  
ADVANCING CSO CAPACITIES AND ENGAGING SOCIETY  
FOR SUSTAINABILITY (ACCESS)

# ახალი დაცული ტერიტორია საქართველოში

## სიტუაციის მიმოხილვა

დღეისათვის საქართველოს არაერთ რეგიონში შექმნილია საკმაოდ რთული ვითარება, როგორც გარემოს დაცვის, ისე სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. ამ მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია ზემო სვანეთის ქვედა ზონის თემებში – ხაიში, იდლიანი, ჭუბერი და ნაკრა – არსებული სიტუაცია, რაც განპირობებულია ბუნებრივი რესურსების მართვისა და მინათსარგებლობის არასწორი მოდელით. ამ მცირემინიანი რეგიონის მოსახლეობა დამოკიდებულია ტყეში მოპოვებულ მერქნულ რესურსებზე. ამაში არ იგულისხმება მხოლოდ საშეშე მერქანი, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში იყენებენ ადგილობრივები. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის სამასალე მერქანი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

ზემო სვანეთის ეს ნაწილი ყველაზე ტყიანია მესტიის რაიონში. დედამიწის ზომიერ სარტყელში შემორჩენილი ერთ-ერთი უკანასკნელი ხელუხლებელი ტყეები სწორედ ამ ხეობებში გვხვდება<sup>1</sup>. საქართველოს მასშტაბით მერქნის შემატების ყველაზე მაღალი მაჩვენებელიც ამ კუთხეშია. ისტორიულად, ტყე თემებისა და გვარების საკუთრებას წარმოადგენდა, ხოლო მერქნის მოპოვება ტრადიციული საქმიანობა იყო. ადგილობრივებმა ახლაც იციან, თუ რომელ გვარს ტყის რა მონაკვეთი ეკუთვნოდა და შეძლებისდაგვარად, იცავენ ტრადიციული საკუთრების უფლებებს. საბჭოთა პერიოდმა სვანეთს ამ თვალსაზრისითაც დაღი დაამჩნია: ტყე საერთო სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, მესტიის ქვემო ზონის სოფლებს სამასალე მერქნის მოპოვებისა და სახელმწიფოსთვის ჩაბარების სპეციალური გეგმაც კი ჰქონდათ დაკისრებული<sup>2</sup>. პოსტ-საბჭოთა პერიოდში საქართველოში გამეფებულმა არასწორი ტყის მართვის პრაქტიკამ, რასაც სატყეო სექტორში არსებული კორუფციის მაღალი დონეს განაპირობებდა, ძალიან მძიმე გარემოსდაცვითი შედეგები გამოიღო.

---

1 წყარო: <http://intactforests.org> ; Global forest watch

2 „გასული საუკუნეების 50-იანი წლებიდან ქვედა ზონის მოსახლეობა საბჭოთა ხელისუფლებამ ძალადობრივად გადაიყვანა ხე-ტყის მოპოვებაზე. თითოეულ მოსახლეს დაადეს ბეგარა. თუ ის არ მოჭრიდა, არ დაამუშავებდა და არ ჩააბარებდა ხე-ტყეს, იყო ჭარბი და სანქციები. ამან შეავიწროვა სოფლის მეურნეობა და 90-იანებში საერთოდ გაჩინაგდა ყველაფერი“ – ზურაბ ნიჟარაძე. <http://liberali.ge/news/view/38692/khetyis-mopoveba-arsebobis-sashualebaa-es-tvitimizani-ar-aris--zurab-nizharadze>.

2007-დან 2011 წლამდე საქართველოს მთავრობას ჰქონდა არაერთი მცდელობა, რომ აუქციონებზე გაეყიდა ხე-ტყის დამზადების მრავალწლიანი ლიცენზიები. გადაწყვეტილება გაუმჭვირვალედ, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე მიიღებოდა; ლიცენზიების გაცემას წინ არ უძღვოდა რესურსის რაოდენობრივი და თვისობრივი შეფასება, ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობისა და მასზე ხე-ტყის დამზადების ზეგავლენის ანალიზი; სალიცენზიო პირობები ვერ უზრუნველყოფდნენ ტყის ეკოსისტემების დაცვას და უგულვებელყოფდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს. ადგილობრივების წინააღმდეგობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ბრძოლის შედეგად, მასშტაბური აუქციონების არაერთი მცდელობა მთავრობას ჩაეშალა.

2012 წლის შემდეგ საქართველოში ხე-ტყის დამზადების ლიცენზიები აღარ გაიცემა. არსებული ლიცენზიები არასაკმარისია, რომ უზრუნველყოს ბაზრის მოთხოვნა მერქანზე, დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოსახლეობა რესურსითა და სამუშაო ადგილებით. 2014 წელს ხე-ტყის დამზადების ლიცენზიების დიდ ნაწილს ვადა ამოეწურა; როგორც სიტუაციიდან დროებითი გამოსავალი, ეროვნულ სატყეო სააგენტოს მიენიჭა ხე-ტყის დამზადების (ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობის) უფლება<sup>3</sup>. ამ პრაქტიკას არაფერი აქვს საერთო თანამედროვე მდგრად სარგებლობასთან.

**ამრიგად, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, სახელმწიფომ ვერ შეძლო ისეთი მოდელის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფდა მესტიის რაიონში ტყის ეკოსისტემების მართვას ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური საკითხების, ადგილობრივი ცოდნისა და მიწათსარგებლობის ტრადიციების გათვალისწინებით და მინიმუმამდე დაიყვანდა უკანონო ტყითსარგებლობისა და კორუფციის შესაძლებლობას. დღევანდელი მოცემულობა ასეთია:**

- არსებული კანონმდებლობა და პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს (კანონიერი გზით) ბაზრის მერქნის რესურსებით მომარაგებას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ რესურსის ტყეებში მოპოვება შესაძლებელია ეკოსისტემებისათვის შეუქცევადი ზიანის მიუყენებლად. როდესაც კანონიერი გზით რესურსის მოპოვებასა და ბაზრის

<sup>3</sup> „ტყით სარგებლობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს N242 დადგენილება

მოთხოვნას შორის დისბალანსი არსებობს, ჩნდება უკანონო მოპოვების ცდუნება და შესაძლებლობა.

- არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობას საბინადრო გარემოსთან/ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში და მით უმეტეს – მათი თემის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მართვაში.
- საქართველოს არსებული კანონმდებლობა არ ცნობს ისტორიული საკუთრებისა და მიწათსარგებლობის (მათ შორის ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების) ფორმებს. მიწათსარგებლობასთან/ბუნებასარგებლობასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნა ნელ-ნელა იკარგება, რაც საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს რესურსის ჭარბ, არამდგრად გამოყენებას.
- რესურსებით სარგებლობა დაუგეგმავად, ხანგრძლივადიანი გეგმისა და ხედვის გარეშე მიმდინარეობს; ბუნებრივი რესურსების გამოყენება ყოველგვარი წინასწარი მრავალმხრივი შესწავლის გარეშე ორიენტირებულია მხოლოდ ერთჯერადი, სწრაფი მოგების მიღებაზე, მაგრამ ხანგრძლივადიან პერსპექტივაში ეკოსისტემების/ბუნებრივი რესურსების დეგრადაციას და მათზე დამოკიდებული მოსახლეობის კიდევ უფრო გაღარიბებას გამოიწვევს.
- რეგიონში არ არსებობს განვითარების არანაირი სახელმწიფო პროგრამა თუ პროექტი. ერთადერთი მიმართულება – პესების მასობრივი მშენებლობაა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისგან ტერიტორიის დაცლას გულისხმობს. სახელმწიფო თვალს ხუჭავს ტყით სარგებლობის სექტორში არსებულ დარღვევებზე (რაც ძირითადად არასწორი მართვის მოდელით არის განპირობებული), მაგრამ საჭიროების შემთხვევაში მზად არის ისინი გამოიყენოს, როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედებისა და სოციალური წინააღმდეგობის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი.
- ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული რეგიონში – დიდი კავკასიონის დასავლეთი ნაწილში, მათ შორის ზემო სვანეთში არ არის (არასოდეს არ ყოფილა) არც ერთი დაცული ტერიტორია, მიუხედავად იმისა, რომ დაცული ტერიტორიების შესაქმნელად არაერთი პროექტია განხორციელებული და დონორთა მნიშვნელოვანი თანხებიც დაიხარჯა.

შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჩვენი მიზანია ბუნებრივი/ტყის რესურსების მართვის ისეთი მოდელის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური საკითხების ჰარმონიზებასა და ადგილობრივ თემების წამყვან როლს, ხოლო სახელმწიფო ეხმარება ადგილობრივ თემს ტყის მართვაში და კონტროლს უწევს კანონმდებლობის შესრულებას. ასეთი მიზნის მიღწევა შესაძლებელია რეგიონში სწორად შერჩეული დაცული ტერიტორიის დაარსების მეშვეობით, რომლის მართვაც იწარმოებს ადგილობრივი მინათსარგებლობის ტრადიციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და შესაბამისობაში იქნება საქართველოს კანონმდებლობასა და ქვეყნის მიერ გაცხადებულ პოლიტიკის პრიორიტეტებთან.

## ზოგადი ინფორმაცია დაცული ტერიტორიების შესახებ

დაცული ტერიტორია არის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ადგილი, რომელიც იმართება კანონმდებლობის დადგენილი წესით, რათა მოხდეს ბუნების, ბუნებრივი რესურსებისა და იქ არსებული კულტურული ფენომენების დაცვა.

პირველი დაცული ტერიტორია საქართველოში – ლაგოდების ნაკრძალი – 1912 წელს დაარსდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, საქართველოში ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების კატეგორიების შესაბამისი სისტემის ჩამოყალიბება დაიწყო. ეს კატეგორიებია:

1. ნაკრძალი – IUCN I კატეგორია (Strict Nature Reserve – მკაცრად დაცული ნაკრძალი).
2. ეროვნული პარკი – IUCN II კატეგორია (National Park – ეროვნული პარკი)
3. ბუნების ძეგლი – IUCN III კატეგორია (Natural Monument-ბუნების ძეგლი).
4. აღკვეთილი – IUCN IV კატეგორია (Habitat /Species Management Area – ჰაბიტატების /სახეობების მართვის ტერიტორია).
5. დაცული ლანდშაფტი – IUCN V კატეგორია (Protected Landscape-დაცული ლანდშაფტი).

6. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია – IUCN VI კატეგორია (Protected area with sustainable use of natural resources – დაცული ტერიტორია ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენებისათვის)

საქართველოში დღეისათვის იურიდიულად არსებობს 88 დაცული ტერიტორია: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 12 ეროვნული პარკი, 19 აღკვეთილი, 40 ბუნების ძეგლი, 1 დაცული ლანდშაფტი და 2 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. მათი საერთო ფართობი შეადგენს 696 406 ჰას, რაც ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 10%-ია. აქედან 81 იმართება სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ, 20 ტერიტორიული ადმინისტრაციის მეშვეობით. ერთი დაცული ტერიტორია – თუშეთის დაცული ლანდშაფტი – იმართება ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ. დღეისათვის არსებული მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები (ჭავჭავეთისა და ფშავ-ხევსურეთის) არ იმართება არც ერთი უწყების მიერ.

## დაცული ტერიტორიების მმართველობის ფორმები

იმისათვის, რომ დაცულმა ტერიტორიამ შეასრულოს თავისი დაარსების მიზნები, უმნიშვნელოვანესია, რომ სწორად განისაზღვროს მისი კატეგორია და საზღვრები. ამავდროულად, ძალზე მნიშვნელოვანია, შერჩეული ტიპის დაცული ტერიტორიისათვის სწორად იქნას მორგებული მართვის ფორმა და დაინტერესებულ საზოგადოებასთან ურთიერთობის ფორმა.

IUCN მიხედვით, არსებობს დაცული ტერიტორიების მმართველობის 4 ძირითადი ტიპი – იმის მიხედვით, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ვინ არის უფლებამოსილი და პასუხისმგებელი დაცული ტერიტორიების მართვაზე:

1. დაცული ტერიტორიების მიწები და მასთან დაკავშირებული რესურსები ძირითადად სახელმწიფო დაქვემდებარებაშია. საზოგადოების მონაწილეობა სუსტია (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში დღეისათვის მმართველობის მხოლოდ ეს ფორმა გამოიყენება).

2. თანამმართველობა – მართვის უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ნაწილდება სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო მხარეს შორის (მაგ., ეროვნული და ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურები, მკვიდრი მოსახლეობა და ადგილობრივი თემები, არასამთავრობო ორგანიზაციები, კერძო მენარმეები, მიწის მესაკუთრეები და სხვ.). მმართველობის ეს ტიპი ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას და კონსულტაციას.
3. კერძო მმართველობა – კერძო მფლობელი (კერძო პირი, არასამთავრობო ორგანიზაცია, თემი ან კორპორაცია) იღებს და ახორციელებს გადაწყვეტილებებს მის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე. დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა არის შეზღუდული. არ არის გარანტირებული გრძელვადიან პერსპექტივაში მისი არსებობა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების მომავალში გაგრძელება.
4. მმართველობა მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების მიერ – დაცული ტერიტორიის მართვაზე უფლება და პასუხისმგებლობა აქვს მკვიდრ მოსახლეობას ან/და ადგილობრივ თემს. მართვა შეიძლება ხორციელდებოდეს სხვადასხვა ფორმით: ჩვეულებითი (ტრადიციები და ადათ-წესები), ასევე საკანონმდებლო წესით<sup>4</sup>. „წარსულში მკვიდრი მოსახლეობა და ადგილობრივი თემები იცავდნენ და მართავდნენ თავიანთ გარემოს. ეს არ ხდებოდა უშუალოდ ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, თუმცა ემსახურებოდა სხვადასხვა ურთიერთდაკავშირებული ფასეულობებისა და მიზნების განხორციელებას (რელიგიური, სულიერი, უსაფრთხოებასთან ან თვითგადარჩენასთან დაკავშირებული მიზნები). ამ ტიპის მმართველობაში მფლობელობისა და მართვის წესები გადაჭაჭვულია არსებულ კულტურულ და სულიერ ფასეულობებთან...ამ ტიპის დაცული ტერიტორიების არსებობა ზოგადად დამოკიდებულია მთავრობებზე, ნება მისცენ მკვიდრ მოსახლეობას და ადგილობრივ თემს მართონ თავიანთი მიწა (დე ფაქტო ან დე იურე)“.<sup>5</sup>

4 IUCN კავკასიის თანამშრომლობის ცენტრი. 2010. დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება. საქართველოს გამოცდილება

5 IUCN კავკასიის თანამშრომლობის ცენტრი. 2010. დაცული ტერიტორიების მართვაში საზოგადოების მონაწილეობის გაძლიერება. საქართველოს გამოცდილება

## დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილეობის სახეები

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი განიხილავს დაცული ტერიტორიების საქმიანობაში დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობის ხუთ სახეს.

1. ინფორმირება – ეს არის მონაწილეობის მინიმალური დონე, გადანყვეტილების მიღება „ზემოდან ქვემოთ“. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია დაგეგმილი ქმედებების ან უკვე მიღებული გადანყვეტილების თაობაზე, მაგრამ მონაწილეობის ან რაიმეს შეცვლის შესაძლებლობა არ არსებობს.
2. კონსულტაცია – ინფორმირების დონეზე ერთი საფეხურით უფრო მაღლა დგას. დაინტერესებულ მხარეებს მიეწოდებათ ინფორმაცია პროექტის ან გეგმის შესახებ და მათ ინვევენ თავიანთი მოსაზრებებისა და შენიშვნების გამოსახატავად. ხდება გამოთქმული აზრების განხილვა, თუმცა არ არსებობს იმის გარანტია, რომ აღნიშნული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება გეგმის საბოლოო ვარიანტის მომზადებისას.
3. ერთობლივი გადანყვეტილება – დაინტერესებულ მხარეს ინვევენ საკითხის განსახილველად და საბოლოო გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მისაღებად. პროცესი თანამონაწილეობითია, თუმცა დისკუსიის ინიციატორი, ჩვეულებრივ, აწესებს იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებშიც ვრცელდება დაინტერესებული მხარეების ზეგავლენა საბოლოო გადანყვეტილებაზე.
4. ერთობლივი ქმედება – ორივე მხარე თანაბრად მონაწილეობს გადანყვეტილების მიღების პროცესში და ინაწილებს პასუხისმგებლობას მიღებული გადანყვეტილების პრაქტიკაში გატარებაზე.
5. თემის ინტერესების მხარდაჭერა – მონაწილეობის მაქსიმალური დონე – გადანყვეტილების მიღების ე.წ. „ქვემოდან ზემოთ“ მიდგომა. თემი იღებს დამოუკიდებელ გადანყვეტილებას და ასევე პასუხისმგებელია მიღებული გადანყვეტილებების განხორციელებაზე. ექსპერ-



ტების ან შესაბამისი სამსახურების როლი იმაში მდგომარეობს, რომ თემს მიაწოდონ ინფორმაცია, გაუწიონ ექსპერტული დახმარება, და ასევე გარკვეული რესურსებით დახმარებაც, იმისათვის, რათა თემმა ინფორმირებული გადაწყვეტილება მიიღოს.

ამრიგად, დღეისათვის საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიებისა და მმართველობის ფორმები არ აკმაყოფილებს მაღალ სტანდარტებს – მმართველობაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ხელისუფლების ორგანოები არიან, ხოლო საზოგადოების მონაწილეობა – შეზღუდულია.

**ბუნების მართვის თანამედროვე მიდგომა – ეკოსისტემური მიდგომა – გულისხმობს ბუნების დაცვისა და საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ჰარმონიზებას – ადამიანი, თავისი კულტურული მრავალფეროვნებით, წარმოადგენს ბუნების განუყოფელ ნაწილს.**

## მდგრადი ბუნებათსარგებლობის დაცული ტერიტორია ზემო სვანეთში

მესტიის რაიონის ქვემო ზონაში, რომელიც ხაიშის, ჭუბერის, იდლიანის და ნაკრას თემებს მოიცავს, ამ მოსახლეობის და ბუნების დაცვის საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რეკომენდებულია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მე-6 კატეგორიის შესაბამისი დაცული ტერიტორიის დაარსება, რომელსაც პირობითად „ხაიში-ჭუბერის მდგრადი ბუნებათსარგებლობის დაცული ტერიტორია“ შეიძლება ვუწოდოთ. წინასწარმა კვლევამ აჩვენა, რომ ასეთი დაცული ტერიტორიის შექმნა ხელს შეუწყობს ბუნების დაცვას და ეკოსისტემებისაგან მიღებულ სარგებელს.

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია შეესატყვისება IUCN VI კატეგორიას და მისი შექმნის მიზანია, განხორციელდეს ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობა გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს, დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახე-

ლებებსაც. საჭიროებიდან გამომდინარე მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე შესაძლებელია სხვადასხვა ზონების გამოყოფა.

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის მიხედვით<sup>6</sup>, ამ ტიპის დაცული ტერიტორია იცავს ეკოსისტემებს და სახეობების საბინადრო გარემოს და მასთან დაკავშირებულ კულტურულ ღირებულებებსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების (მართვის) ტრადიციულ სისტემებს. როგორც წესი, ასეთი დაცული ტერიტორია დიდ ფართობს იკავებს, ბუნების დიდი ნაწილი ბუნებრივ მდგომარეობაშია, გარკვეულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების გამოყენება იმ მეთოდებითა და მასშტაბით, რომ თავსებადი იყოს ბუნების დაცვასთან.

ასეთი დაცული ტერიტორიის სხვა ამოცანებია ხელი შეუწყოს: ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას; ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური სარგებლის მიღებას, განსაკუთრებით მათ, ვინც ცხოვრობენ უშუალოდ დაცულ ტერიტორიაში ან მის სიახლოვეს; ადგილობრივი მოსახლეობისთვის / თემებისთვის მდგრადი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების შექმნას; რეკრეაციას და მცირე მასშტაბის ტურიზმის (საოჯახო, აგროტურიზმი, ეკოტურიზმი) განვითარებას.

უნდა ხაზი გავუსვათ, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, „დაცულ ლანდშაფტისა“ და „მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის“ მქონე სტატუსის მქონე დაცულ ტერიტორიებს, მათ მართავს ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო კანონმდებლობის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სახელმწიფო.

ამრიგად, „ხაიში-ჭუბერის მდგრადი ბუნებათსარგებლობის დაცული ტერიტორიის“ შექმნით, გაჩნდება შესაძლებლობა მოგვარდეს ხეობის წინაშე არსებული ძირითადი გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. შეიქმნება მისი ალტერნატიული განვითარების შესაძლებლობა. თემს საშუალება მიეცემა, განკარგოს ბუნებრივი რესურსები, შექმნან განვითარების ისეთი პირობები, ისე, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებამ არ მიაყენოს ზიანი ბუნებას (ბიომრავალფეროვნებას).

**სხვადასხვა ისტორიულ კუთხეში გრძელდება დაცული ტერიტორიების შექმნის პროცესი. ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ითხოვს დაცული ტერიტორიების შექმნას მათ ისტორიულ კუთხეებ-**

---

6 www.iucn.org

**ში: გუდამაყარში, ხევსურეთში, ფშავში, მაჭახელას ხეობაში. ისინი დაცულ ტერიტორიას უყურებენ, როგორც ტრადიციული მიწათსარგებლობის, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისა და დაცვის საშუალებას. იმედს გამოვთქვამთ, რომ ხაიშის, ჭუბერის, იდლიანის და ნაკურას თემებიც გაიზიარებენ ამ სულისკვეთებას და სულ მალე ახალი ტიპის დაცული ტერიტორია გვექნება საქართველოში.**

## გრძელვადიანი ხედვა

გემო სვანეთი უნიკალური და ამავდროულად, მრავალფეროვნებით გამორჩეული მხარეა, რომელსაც სხვადასხვა მასშტაბური საფრთხე ემუქრება. ამ საფრთხეებთან გამკლავებას კი მრავალმხრივი მიდგომა ესაჭიროება. მისი ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის, ტრადიციებისა და კულტურის შენარჩუნებას მხოლოდ ხაიშის, ჭუბერის, იდლიანის და ნაკურას თემების გარშემო დაცული ტერიტორიის დაარსება არ არის საკმარისი.

ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ადგილებზე უნდა შეიქმნას დაცული ტერიტორიის კატეგორია ეროვნული პარკი (IUCN II), რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მონაწილეობით მართავს დაცული ტერიტორიების სააგენტო. ეროვნული პარკი იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, გარკვეულ ზონებში კი დაშვებულია ტურიზმი და ზოგიერთი განახლებადი რესურსით სარგებლობა. ეროვნული პარკისათვის საჭიროა შედარებით დიდი ბუნებრივი ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია უნიკალური, იშვიათი ან საფრთხის წინაშე მყოფი ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობა.

სვანეთისათვის დამახასიათებელი არქიტექტურით გამორჩეულ სოფლებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე უნდა შეიქმნას დაცული ტერიტორიის კატეგორია დაცული ლანდშაფტი (IUCN V) დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ისტორიული

და ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული გარემოს დასაცავად და სასიცოცხლო გარემოს შესანარჩუნებლად. დაშვებულია რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა. დაცულ ლანდშაფტში შეიძლება იყოს კერძო საკუთრება, ის შეიძლება მოიცავდეს დასახლებებს.

საბოლოო ჯამში, მთელს ზემო სვანეთს უნდა მიენიჭოს საერთაშორისო დაცული კატეგორიის კატეგორია – „მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი“, რომელიც აღიარებული უნდა იქნეს UNESCO-ს მიერ. ეს იქნება რეგიონის განვითარების საბოლოო მიზანი.

## შესაბამისობა სახელმწიფო პოლიტიკის

### პრიორიტეტებთან

ჩვენი მიზანი, ამოცანა („ხაიში-ჭუბერის მდგრადი ბუნებათსარგებლობის დაცული ტერიტორიის“ შექმნა) და გრძელვადიანი ხედვა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტებსა და ქვეყნის მიერ აღებულ საერთაშორისო ვალდებულებებს.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის<sup>7</sup> თანახმად, 2030 წლისთვის საქართველო იქნება ქვეყანა, სადაც მოქალაქეები ცხოვრობენ ბუნებასთან ჰარმონიაში, საყოველთაოდ აღიარებულია ბიომრავალფეროვნების ფასეულობები; ბიოლოგიური რესურსების კონსერვაცია და გონივრული მოხმარება უზრუნველყოფს ეკოსისტემური პროცესების უწყვეტობას, ჯანსაღ გარემოსა და სასიცოცხლო მნიშვნელობის სარგებელს მთელი საზოგადოებისთვის.

პრობლემებიდან, რომელიც 2030 წლისთვის ამ მიზნის მიღწევას უშლის ხელს, მთავრობის ამ დადგენილებაში გამოყოფილია დაცული ტერიტორიების არასაკმარისობა (არასაკმარისია როგორც დაცული ტერი-

---

<sup>7</sup> დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2914 წლის 13 მაისი, N 343 დადგენილებით „2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის დამტკიცების შესახებ“

ტორიების საერთო ფართობი, ასევე ქვეყნის ბუნებით გამორჩეულ ბევრ ადგილს არ აქვს დაცული ტერიტორიის სტატუსი), ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი რესურსების მართვაში ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება და მონაწილეობის ხარვეზები და ტყის რესურსები არამდგრადი მართვა. აღნიშნულია, რომ „დღეისათვის საქართველოში არსებობს დაცული ტერიტორიების მმართველობის, მხოლოდ, ერთი ფორმა – მმართველობა მთავრობის მიერ. საერთაშორისო პრაქტიკა კი აღიარებს მმართველობის სხვა ფორმებსაც, როგორებიცაა: კერძო მმართველობა, თანამმართველობა, მმართველობა მკვიდრი მოსახლეობისა და ადგილობრივი თემების მიერ“. მთავრობის დადგენილებაში მოცემულია 2020 წლისთვის დასახული ამოცანები და განსახორციელებელი ქმედებები: ტყეების ბიომრავალფეროვნება დაცული უნდა იყოს მდგრადი მეტყევეობის საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის გზით; დაცული ტერიტორიები უნდა მოიცავდეს ქვეყნის სახმელეთო ფართობის სულ მცირე 12%-ს. ბიომრავალფეროვნებისაგან და ეკოსისტემური სერვისებისგან თითოეული ადამიანის მიერ მიღებული სარგებელი უნდა გაიზარდოს; მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საჭიროა დაცული ტერიტორიების შესახებ კანონმდებლობისა და პრაქტიკის გავრცობა IUCN-ის დაცული ტერიტორიების კატეგორიებისა და მართვის სახელმძღვანელოების გათვალისწინებით. ცალკე არის გამოყოფილი V და VI კატეგორიის დაცული ტერიტორიების მართვის საკითხების დახვეწა და განხორციელება. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცული ტერიტორიების მართვის საკითხებში დაინტერესებული ჯგუფების, პირველ რიგში, კი – ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა. უნდა განხორციელდეს სათემო ტყეების საპილოტე პროექტები და წარმატებული მართვის მოდელი დაინერგოს ეროვნულ დონეზე; გაიზარდოს დაცული ტერიტორიების დაგეგმვასა და მართვის პროცესში დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით ადგილობრივი მოსახლეობის, ჩართულობა. უნდა მოხდეს დაცული ტერიტორიების მმართველობის სხვადასხვა ტიპების შექმნის შესაძლებლობის შესწავლა და პილოტირება.

2015 წლის 25 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოში წარადგინა საქართველოს მთავრობის წინადადება კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით და-

კისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით და მოახდინა ქვეყნის ვალდებულებების განსაზღვრა და დეკლარირება კლიმატის ცვლილების კონტექსტში. დეკლარირებული ვალდებულებების თანახმად, იმ შემთხვევაში თუ 2020–2030 წლებში დონორთა მხრიდან იქნება შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერა, ქვეყანა მზადაა დაცული ტერიტორიების ფართობი 1.3 მილიონ ჰექტრამდე გაზარდოს, რომელშიც 1 მილიონი ჰექტარი ტყე იქნება, ასეთ შემთხვევაში დაცული ტერიტორიები ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 20%-ს დაფარავს<sup>8</sup>.

საქართველოს ეროვნული კონცეფციის<sup>9</sup> მიზანია სატყეო სექტორში არსებული პრობლემების გადასაჭრელად, აგრეთვე სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობისათვის, ადამიანების კეთილდღეობისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის ამ ტყის მდგრადი მართვის სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, ბიომრავალფეროვნების დაცვას, ტყეების ეკოლოგიური ფასეულობების გათვალისწინებით მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტიან გამოყენებას, ტყის მართვაში საზოგადოების მონაწილეობას და მიღებული სარგებლის სამართლიან გადანაწილებას. კონცეფციის თანახმად, ტყესთან დაკავშირებული პრობლემების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია არასრულყოფილი კანონმდებლობა და არამდგრადი მართვის სტილი, ასევე მოსახლეობის სიღარიბე. „ხელმისაწვდომი ალტერნატივების არარსებობა ადამიანებს აიძულებს, ტყის რესურსები უკანონოდ და არამდგრადი მეთოდებით მოიპოვონ. ხშირად ღარიბი მოსახლეობა უბრალო მუშახელია ტყით სარგებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა უკანონო ბიზნესის წარმოებისას...ტყის არასწორი მართვა განსაკუთრებით აზარალებს ღარიბ მოსახლეობას, რადგან ილახება ბუნებრივ რესურსებთან დაკავშირებული მისი სასიცოცხლო ინტერესები, ხოლო ტყის დეგრადაციის შედეგები – რესურსების შემცირება, გახშირებული სტიქიური მოვლენები – უფრო ამძიმებს მის სოციალურ მდგომარეობას“. კონცეფციაში აღნიშნულია, რომ უნდა დაიხვეწოს სატყეო სექტორთან დაკავშირებული გადაწყვეტილებე-

---

8 საქართველოს მთავრობის წინადადება „კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციით“ დაკისრებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, 2015

9 საქართველოს პარლამენტის 2013 წლის 11 დეკემბრის N1742-ის დადგენილება „საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფციის“ დამტკიცების შესახებ

ბის მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მექანიზმები, რის შედეგადაც შეზღუდული აღარ იქნება ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა; ასევე, უნდა გაიზარდოს დაცული ტერიტორიების ფართობი; კონვენციის ერთ-ერთი ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპია „ყველა ტყე ადგილობრივია“, სადაც აღნიშნულია, რომ პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. „აღიარებული და მხარდაჭერილი უნდა იქნეს ტყიან ტერიტორიებზე მოსახლე თემების იდენტურობა და კულტურა, აგრეთვე ტყითსარგებლობისა და ტყის შენარჩუნების ტრადიციული ცოდნა. ტყის რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებელი სამართლიანად უნდა განაწილდეს ადგილობრივ, რეგიონულ და ეროვნულ მომხმარებლებს შორის“.

## დაცული ტერიტორიები — წარმატებული მაგალითები საქართველოში

### თუშეთის დაცული ლანდშაფტი და ადგილობრივი თემის განვითარება

დაცული ტერიტორიების დაარსება საქართველოში მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯი იყო ბუნების შენარჩუნების თვალსაზრისით. თუმცა, გარემოზე ზრუნვის პარალელურად, დაცული ტერიტორიების შექმნამ არსებითი როლი ითამაშა იქ მცხოვრები მოსახლეობის საარსებო პირობების გაუმჯობესების კუთხითაც. სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით, განხორციელდა არაერთი დიდი და მცირე მასშტაბის პროექტი, რომელიც მიმართული იყო ადგილობრივი მოსახლეობის, თემების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ, მათ შორის: ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მიმდებარე ყველა მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია; ხარაგაულის ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; ვაშლოვანისა და ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების მიმდებარედ საოჯახო სასტუმროების მშენებლობა და განვითარების ხელშეწყობა; მტირალას ეროვნულ პარკთან მცხოვრები მოსახლეობის მიერ წარმოებული ბიო-პროდუქციის – თაფლის მაღაზიის გახსნა; ჭავჭავეთის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ეკოტურიზმის და მეფუტკრეობის განვითარების პროექტები და სხვა.

დღესდღეობით, თუშეთის დაცული ლანდშაფტი ერთადერთი დაცული ტერიტორიაა საქართველოში, რომელსაც ადგილობრივი თვითმმართველობა მართავს. ქვემოთ მოყვანილია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ თუშეთის დაცულ ლანდშაფტში განხორციელებული პროექტების მაგალითები. თუშეთი წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს იმისა, თუ როგორ გაუმჯობესდა ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დაცული ტერიტორიების შექმნის შემდგომ, როგორც აღ-



ნიშნული პროექტების განხორციელების ხარჯზე, ასევე დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებიდან მიღებული შემოსავლების წყალობით.

### **თუშური ტრადიციული ხელსაქმის აღორძინება**

მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, სოფელ ქვემო ალვანში მცხოვრებმა ქალბატონმა ლილი მურთაზაშვილმა თუშური ტრადიციული ხელსაქმის სახელოსნო დააარსა. ნატურალური მასალისგან წარმოებული ტრადიციული ფარდაგების, ნაქარგებისა და ხალიჩების შექმნით 15 ადგილობრივი ქალბატონია დაკავებული. სახელოსნოს კავშირი აქვს ტურისტულ ორგანიზაციებთან. თუშეთში მიმავალი ტურისტები, გზად ალვანში, თუშური ტრადიციული ნამუშევრების სანახავად და შესაძენად მიდიან ხოლმე. ეს ბიზნესი ოჯახის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

### **მატყლის გადამამუშავებელი საწარმო**

გემო ალვანში წარმატებით მუშაობს მატყლის გადამამუშავებელი საწარმო. საწარმოში ყოველწლიურად 20-30 მწყემსისაგან ნაყიდი დაახლოებით 20 ტონა მატყლის გადამამუშავება ხდება. ქარხანაში დასაქმებულია 12 ადამიანი. მატყლს ძირითადად თქვის წარმოებისთვის, ხოლო ძაფს წინდებისა და ხალიჩების საქსოვად ყიდულობენ. საწარმოს მფლობელის თქმით, ეს ბიზნესი მისი ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყაროა. ჩეხეთის რესპუბლიკის განვითარების სააგენტო აპირებს საწარმოს გაფართოებასა და მოდერნიზაციას.

### **ყველის შესაფუთი ქარხანა**

ყველაფერი 20000 დოლარით დაიწყო, რომელიც მსოფლიო ბანკმა საჭირო დანადგარების შესაძენად გაიღო. საწარმო ქვემო ალვანში მდებარეობს; ყველის შესყიდვა ყოველწლიურად დაახლოებით 10-15 მეცხვარისა და პირუტყვის მეპატრონეებისგან ხდება. ყველი იჭრება, იფუთება სპეციალური მანქანის მეშვეობით და შემდეგ იარლიყი ეკვრება დაფასოებული პროდუქტი სარეალიზაციოდ თბილისის სუპერმარკეტებში იგზავნება. საწარმოს მეპატრონის თქმით, ბიზნესის წამოწყების ძირითადი მიზანი იყო ტრადიციული თუშური გუდის ყველის წარმოების მხარდაჭერა და პოპულარიზაცია.

### **„ალვანი 2000“ — სათბურების საცდელი პროექტი**

არასამთავრობო ორგანიზაცია „ალვანი 2000“-ის მიერ 2011 წლის ზაფხულში თუშეთის სამ სოფელში – შენაქოში, ომალოსა და დართლოში მოეწყო მარტივი კონსტრუქციის სათბურები, სადაც შესაძლებელია იმ კულტურების მოყვანა, რომლებიც თუშეთის მკაცრ კლიმატურ პირობებს ვერ ეგუება: პომიდორი, კიტრი, ბადრიჯანი, წიწაკა. სათბურებში მოყვანილი ბოსტნეულით განსაკუთრებით საოჯახო სასტუმროები არიან დაინტერესებული. ამჟამად კი თუშეთში სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობისთვის ჩხეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მასშტაბური პროექტი ხორციელდება.

### **„თუშეთი გაიდი“ — თუშეთში ტურისტული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად**

თუშეთის ტურისტულმა ასოციაციამ „თუშეთი გაიდი“ განახორციელა ტრენინგები მარკეტინგისა და სტუმართა მომსახურების საკითხებზე საოჯახო სასტუმროების მფლობელთათვის. მომზადდა და დაიბეჭდა საინფორმაციო-სარეკლამო სახის მასალები და ბროშურები ადგილობრივი საოჯახო სასტუმროებისა და იმ სერვისების შესახებ, რომელთა მიღებაც შეუძლიათ თუშეთში ასულ ტურისტებს. „თუშეთი გაიდი“ 2010 წელს დაარსდა. დღესდღეობით მასში უკვე 26 ადგილობრივი საოჯახო სასტუმროს მეპატრონეა გაწევრიანებული. ასოციაციის მიზანია ტურისტების ინფორმირება თუშეთის ბიომრავალფეროვნებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, ასევე მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა.

### **პროექტი „განახლებადი ენერჯია საქართველოს განაპირა რეგიონებისთვის-მზის პანელების სისტემა თუშეთში“**

თუშეთის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, თუშეთის სოფლებში მზის ენერჯიაზე მომუშავე წყლის გამაცხელებელი და ფოტოელექტრონული სისტემები დამონტაჟდა. პროექტის შედეგია ტურისტებისთვის გაუმჯობესებული მომსახურების შეთავაზება ოჯახური სასტუმროების მიერ და ადგილობრივი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესე-

ბა. პროექტი ჩეხეთის განვითარების სააგენტომ ორ ეტაპად დააფინანსა, რისთვისაც გრანტის სახით ნახევარ მილიონ ევროზე მეტი იყო გამოყოფილი.

### **„თუშეთის მეგობართა ასოციაცია“ – ტრადიციული ძოვების წახალისება თუშეთში**

„თუშეთის მეგობართა ასოციაციის“ მიერ შემუშავებული პროექტის მიზანს ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების ხელშეწყობა წარმოადგენს. კერძოდ, ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება საძოვრების სწორად გამოყენების შესახებ მათი სამომავლო შენარჩუნების მიზნით. ბუნებრივი საძოვრების დეგრადაცია, რაც ცხვრის ინტენსიურმა ძოვებამ გამოიწვია, თუშეთში ერთ-ერთ მთავარ ეკოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს.